საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების
სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი
DEPARTMENT OF LICENSES AND PERTMITS

საქართველო, 0114, თბილისი გულუას ძეს.,ტელ 46 50 08, ფაქსი: 46 50 08, E-mail:ecocegzam@caucasus.net

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
ლიცენზიებისა და ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი

ირაკლი კვაშილავა
(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის
დასკვნა პროექტზე

№ 40

„ 15 ” 02 2006 წ.

საერთო მონაცემები

1. საქმიანობის კატეგორია – პირველი
2. პროექტის დასახელება – ასფალტო-ბეტონის ქარხანა და ინერტული მასალების გადამამუშავებელი საწარმო
3. ინვესტორის დასახელება და მისამართი –შპს „უნივერსალი – 93“, თბილისი, რუსთავის გზატკეცილი № 251
4. განხორციელების ადგილი –გარდაბნის რ-ნი, რუსთავის გზატკეცილის მე-15 კმ
5. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 07. 11. 05.
6. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ–შპს „ეკოლცენტრი“, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 29 1/58

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

შპს „უნივერსალი-93“-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი „ასფალტო-ბეტონის ქარხნისა და ინერტული მასალების გადამამუშავებელი საწარმოს გზშ-ს ანგარიში“ საქმიანობის განხორციელებას ითვალისწინებს გარდაბნის რაიონში, რუსთავის გზატკეცილის № 10–ში. საწარმო განთავსებულია 10 ჰა-ზე ფართობზე, სამრეწველო ზონების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და სატრანსპორტო მაგისტრალების მახლობლად. საცხოვრებელი მასივიდან დაშორებულია 500 მ-ზე მეტი მანძილით.
საწარმო შპს „უნივერსალი-93“-ის მფლობელობაშია 2003 წლიდან.

საქმიანობის მიზანია სხვადასხვა ტიპის ასფალტო-ბეტონის ნარევისა და ინერტული მასალის დამზადება. საპროექტო მონაცემების მიხედვით წლიურად გათვალისწინებულია 80000 ტ. ასფალტო-ბეტონის ნარევისა და 120000 $მ^3$ ინერტული მასალის წარმოება. საქმიანობა გათვლილია საქართველოს სანედლეულო ბაზის გამოყენებაზე.

საქმიანობის ტექნოლოგიური სქემიდან გამომდინარე ასფალტო-ბეტონის წარმოებაში გამოიყენება DC-117 2K ტიპის მიმღები დანადგარი.

ინერტული მასალების გადასამუშავებლად გამოიყენება CMD-27 B და CM-741 ტიპის სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარი. თითოეული დანადგარის წარმადობაა 30$მ^3$/სთ. დანადგარაში ინერტული მასალის დამუშავება ხდება სველი მეთოდით. ტექნოლოგიურ ციკლში გამოიყენება ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა. ტექნიკური წყლის აღება 420 000$მ^3$/წ ოდენობით ხდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ტბორიდან, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენს ჰორიზონტალურ სალექარს; სალექარის დალამვისაგან თავიდან აცილების მიზნით მოხდება მისი გაწმენდა და ლამის რეალიზაცია. ტექნოლოგიური პროცესის შედეგად წყლის დანაკარგის შევსება ტბორში ხდება ატმოსფერული ნალექების ხარჯზე. სამეურნეო-ფეკალური წყლების შეგროვება გათვალისწინებულია ამოსაწმენდ ორმოში, საიდანაც პერიოდულად მოხდება ნარჩენების გატანა.

საქმიანობის შედეგად გარემოზე მიყენებული მოსალოდნელი უარყოფი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებულია ემისებთან ატმოსფერულ ჰაერში. წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშში მოცემულია ზემოქმედების ფაქტორები, ემისიის წყაროები, მათი სახეობები და გაანგარიშებულია გაფრქვევის პარამეტრები. ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებებია ნახშირბადისა და აზოტის ოქსიდები, აქროლადი ორგანული ნივთიერებანი და არაორგანული მტვერი.

ნორმატიული გაფრქვევების უზრუნველსაყოფად პროექტით გათვალისწინებულია აირმტვერნარევის გაწმენდის სამსაფეხურიანი სისტემა (ღერძული ციკლონი, ჯგუფური ციკლონები, სველი მტვერდამჭერი შესაბამისი ეფექტურობით 35%, 95%, 70%). ციკლონებში დაჭერილი მტვერი ბრუნდება ტექნოლოგიურ პროცესში.

გზშ ანგარიშში განხილულია ნარჩენების მართვის საკითხები, ტექნოლოგიური ავარიების თავიდან აცილებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი და ზემოქმედების შედეგად გამოწვეული გარემოს ახალი მდგომარეობის ანალიზი.

დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები ასახულია წინამდებარე დასკვნის III თავში.

V. დასკვნა

შპს „უნივერსალი-93“-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი „ასფალტო-ბეტონის ქარხნისა და ინერტული მასალების გადამამუშავებელი საწარმოს გზშ-ს ანგარიში“-თ გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია.

საქმიანობის დაწყებამდე გათვალისწინებული იქნას წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი შენიშვნები და IV თავში მოყვანილი 1 და 2 პირობა.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მოქმედების ვადად განისა-ზღვროს 5 წელი დასკვნის გაცემის თარიღიდან.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ნ.შეყრილაძე
საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე ნ.შ (სახელი, გვარი, ხელმოწერა)

საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა № 00022

კოდი M D 1 „29" „მაისი" 2006 წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი	შპს „უნივერსალი 93"
2. საქმიანობის მიზანი	ასფალტო-ბეტონის და ინერტული მასალების გადამუშავება
3. განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა	გარდაბნის რაიონი, რუსთავის გზატკეცილის მე-15 კმ
4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია	შპს „ეკოლცენტრი"
5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გზშ ანგარიში
6. ნებართვის გაცემის საფუძველი	სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N 40; 15.02.06
7. ნებართვის პირობები	ნებართვა მოქმედებს დანართში მოცემული პირობების და ს. ზღვრული პირობით

დანართი 1 გვ3

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი (გვარი, სახელი, თანამდებობა)

ლიცენზირებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი

დ. მაჭავარიანი

ბ. ა.

MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA

204861943

დამკვეთი: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

დამამზადებელი: შპს „ფინანსები"

„ს.ფ.ს" რეგისტრაციის №2-0360

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობები
შპს „უნივერსალი-93“-ს მიერ წარმოდგენილი
„ასფალტობეტონის ქარხნისა და ინერტული მასალების
გადამამუშავებელი საწარმოს გზშ-ს ანგარიშზე“

1. პროექტში მითითებული სტრატეგიის შესაბამისად დამუშავდეს და დამტკიცდეს:
–მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) კონკრეტული გეგმა, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირის მითითებით;
–ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირის მითითებით;
–გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის ღონისძიებანი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში;
2. წყლის გასაწმენდად გამოყენებულ ჰორიზონტალურ სალექარს დაემატის სხვადასხვა დიამეტრიანი რამოდენიმე საცერი;
3. ქარხნის მშენებლობის პარალელურად შედგენილ იქნას ტერიტორიის კეთილ-მოწყობისა და გამწვანების პროექტი;
4. საყოფაცხოვრებო და სამეურნეო-ფეკალური ნარჩენების განთავსების ადგილი შეთანხმდეს თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან.
5. ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების მზადყოფნასთან დაკავშირებით შექმნილი მიმღები კომისიის შემადგენლობაში გათვალისწინებული იქნას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლის მონაწილეობა;
6. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობისა და დასკვნაში მოყვანილი შენიშვნების შესრულების შესახებ, წარდგენილ იქნას ანგარიში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000020

კოდი MD1 „02" „ივლისი" 2013 წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი — *შ.პ.ს „ უნივერსალი 93"*

2. საქმიანობის მიზანი — *ასფალტის წარმოება*

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა — *გარდაბნის რაიონი რუსთავის გზატკეცილი მე–15 კმ*

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია — *შპს „ეკოლცენტრი"*

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია — *გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში*

6. ნებართვის გაცემის საფუძველი — *სახ. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №40 15.02.2006*

7. ნებართვის პირობები — *ნებართვა მოქმედებს სახ. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემთხვევაში*

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს
უფლებამოსილი წარმომადგენელი
(გვარი, სახელი, თანამდებობა) — *გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თამარ შარაშიძე*

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კაბადონი +"
სუს-ს რეგისტრაციის N 26-4034

N 000020

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060138488031613

ბრძანება No-236

ქ. თბილისი **02 / ოქტომბერი / 2013 წ.**

შპს ,,უნივერსალი–93"-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის შესახებ"

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78–ე მუხლის, ასევე „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე– 17–ე მუხლის და ამავე კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს ,,უნივერსალი–93"-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის დუბლიკატი გარდაბნის რაიონში რუსთავის გზატკეცილი (მე–15 კმ) ასფალტის წარმოებაზე;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს ,,უნივერსალი–93"-ზე 2006 წლის 29 მაისს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №00022;
3. ნებართვის მოქმედების ვადა - უვადო;
4. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის უწყებრივი სანებართვო რეგისტრაციის ჟურნალში შესაბამისი ცვლილების განხორციელება;
5. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს ,,უნივერსალი–93"-ს;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,უნივერსალი–93"-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქ. №7), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის თამარ შარაშიძის მოხსენებითი ბარათი; შპს ,,უნივერსალი–93"-ის (24.09.2013 წ) #24 წერილი.

მინისტრი ხათუნა გოგალაძე

555 11.00-11
ბუ

საქართველოს რესპუბლიკა
შ.პ.ს.
„უ ნ ი ვ ე რ ს ა ლ ი – 93"

ტელ. 240 40 64
380065, თბილისი
რუსთავის გზატკეცილი 251

REPUBLIC OF GEORGIA
L.t.d.
"U N I V E R S A L I – 93"

Phone: 240 40 64
380065, Tbilisi
Rustavi Highway 251

№ 30

05 ოქტომბერი 2013წელი

საქართველოს გარემოს და
ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტროს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

როგორც მოგეხსენებათ, შ.პ.ს. "უნივერსალი-93"-ს გაგვაჩნია საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა №000020, კოდი M01 თარიღით 02.10.2013წ.

ჩვენ გვსურს აღნიშნული ნებართვა საკუთრებაში გადავცეთ შ.პ.ს. "ბერიკა"-ს.

შ.პ.ს. "ბერიკა" (ს.კ. 406083697) თანახმაა მიიღოს საკუთრებაში ზემოთ აღნიშნული ნებართვა და შეასრულოს და დაიცვას აღნიშნულ ნებართვაში მითითებული ყველა პირობა, რაზედაც ვაწერთ ხელს:

შპს "უნივერსალი-93"-ის
დირექტორი: რ. ჩახვაშვილი

შ.პ.ს. "ბერიკა"-ს
დირექტორი: ნ. ჩახვაშვილი

საქართველო. შპს "ბერიკა"
406083697
GEORGIA. "BERIKA" LTD

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 7357
"06" 11 2013 წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060169278717413

ბრძანება №-300

ქ. თბილისი

13 / ნოემბერი / 2013 წ.

შპს "უნივერსალი–93"–ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს "ბერიკა"-ზე გადაცემის შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის" შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს ,,უნივერსალი–93"–ზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცეს შპს ,,ბერიკა"–ს;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის 2006 წლის 15 თებერვლის №40 დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
3. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და ახალი სანებართვო მოწმობის გაცემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს ,,უნივერსალი–93" –ს და შპს ,,ბერიკა"–ს;
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს ,,უნივერსალი–93"–ზე 2013 წლის 2 ოქტომბერს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №000020;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,უნივერსალი–93"–ის და შპს ,,ბერიკა"–ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: შპს ,,უნივერსალი–93"–ის და შპს ,,ბერიკა"-ს დირექტორების ერთობლივი განცხადება; მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება და გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის თამარ შარაშიძის მოხსენებითი ბარათი.

მინისტრი — ხათუნა გოგალაძე